# ის წარმატებას მიაღწევს, თუ ამას ამბობს გულწრფელად

ტალჰა იბნ 'უბაიდულლაჰმა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) თქვა: ერთხელ მოციქულთან (ალლაჰის ლოცვა მშვიდობა მას) მივიდა ნაჯდის მცხოვრები, თმები აჩეჩილი. ჩვენ ვისმენდით მის ხმამაღალ საუბარს, მაგრამ ვერ ვიგებდით, რას ამბობდა, სანამ ის მოციქულთან (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ახლოს არ მივიდა. აღმოჩნდა, რომ ის ისლამზე ეკითხებოდა. მოციქულმა(ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) უთხრა: «შენ უნდა ილოცო ხუთჯერ დღის და ღამის განმავლობაში». მან იკითხა: "და მეტი ლოცვა უნდა შევასრულო?" მოციქულმა მიუგო: «არა, თუ შენ თვითონ არ ისურვებ მეტს». შემდეგ მან უთხრა: «და უნდა იმარხო რამადნის თვეში». მან ისევ იკითხა: "და მეტი მარხვა უნდა შევასრულო?" მოციქულმა მიუგო: «არა, თუ შენ თვითონ არ ისურვებ მეტს». ამის შემდეგ მოციქულმა მუჰამედმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) უთხრა ზაქათის გადახდის შესახებ. მან იკითხა: "და მეტი რამე უნდა გადავიხადო?" მოციქულმა მიუგო: »არა, თუ შენ თვითონ არ ისურვებ მეტს». ამის შემდეგ ამ კაცმა გაბრუნდა და თქვა: "ვფიცავ ალლაჰს, მე არაფერს არ დავამატებ ამაზე და არც მოვაკლებ". შუამავალმა (ალლაჰმა დალოცოს და მიესალმოს მას) თქვა: «ის წარმატებას მიაღწევს, თუ ამას ამბობს გულწრფელად».

[სანდო (საჰიჰ)] [შეთანხმებული]

ერთმა ნაჯდელმა კაცმა მივიდა ალლაჰის მოციქულთან (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას), რომელსაც თმა აჩეჩილი ჰქონდა, ხმა კი მაღალი, მაგრამ ძნელი იყო იმის გარჩევა, რასაც ის ამბობდა. როდესაც ის მოციქულთან (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ახლოს მივიდა, ჰკითხა მას ისლამის სავალდებულო წესების შესახებ? ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) დაიწყო ლოცვით და უთხრა, რომ ალლაჰმა სავალდებულოდ დაუწესა ხუთი ლოცვა დღე ღამის განმავლობაში. მან ჰკითხა: ხუთი ლოცვის გარდა, სხვა ლოცვაც მაქვს სავალდებულოდ? მოციქულმა უპასუხა: არა, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ნებაყოფლობითი(ნაფილის) ლოცვებს შეასრულებ. მერე მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: ალლაჰმა შენზე სავალდებულოდ დააწესა რამადანის თვის მარხვა. კაცმა ჰკითხა: რამადანის მარხვის გარდა, სხვა მარხვა მაქვს ვალდებულად? მოციქულმა უპასუხა: არა, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ნებაყოფლობით მარხვას შეინახავ. შემდეგ მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას), მას ზაქათი უხსენა. კაცმა ჰკითხა: სავალდებულო ზაქათის შემდეგ, სხვა ქველმოქმედება მაქვს ვალდებულად? მოციქულმა უპასუხა: არა, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ნებაყოფლობით ქველმოქმედებას გააკეთებ. მას შემდეგ, რაც კაცმა მოციქულისგან (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ეს სავალდებულო საქმეები მოისმინა, უკან გაბრუნდა და ალლაჰის სახელით დაიფიცა, რომ ამ ყველეფერს შეასრულებდა და არც დაუმატებდა, არც მოაკლებდა. მაშინ მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: თუ ეს კაცი გულწრფელია იმაზე, რის გამოც დაიფიცა, ის გამარჯვებულთა შორის იქნება.